ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4671970

ნომერი: AR1706264

თარიღი : 11.09.2019

გაცემის თარიღი : 18.09.2019

გაცნობის თარიღი : 19.09.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთანდილ ნაცვალაძე პ/ნ 01030052696
- თბილისი, გუნიას ქ # 2, სართული 1, ბინა #2

ორგანიზაცია:
- შპს "ალიანს-ჯი" კოდი: 204560714

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ალიანს-ჯი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204560714
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო კოკაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006001515

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4189794
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.09.2018

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მაია ბუხაიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 11 სექტემბრის AR1706264 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, პურის მოედანი N1, პურის მოედანი N2-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოივლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და ღია კაფეს მოწყობა სცდება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს, შესაბამისად აღნიშნული პროექტში არ უნდა იყოს გათვალისწინებული; აღნიშნულ სამუშაოებზე ნებართვის მისაღებად საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს;
2. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში:
- განმარტებით ბარათზე არ არის შემსრულებლის ხელმოწერა;
- ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კოეფიციენტები გაანგარიშებული არ უნდა იყოს;
- შეცვლილია გეგმარება, რაც გამოიწვევს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილებას. წარმოდგენილი იქნეს კორექტირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და დაზუსტდეს გეგმებზე ექსპლიკაციის სახით გამოტანილი ფართები;
- გეგმები და ჭრილები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში (მაგ.: კიბეები არ არის ნაჩვენები ჭრილში და ა.შ.);
- ყველა გეგმაზე არ არის ნაჩვენები ჭრის ხაზები;
- გეგმები და ფასადები არ შეესაბამება ერთმანეთს (მაგ. დ-ა1 ღერძებს შორის ფასადზე გაუქმებულია ღიობები, გეგმაზე ღიობები ისევ ნაჩვენებია);
3. წარმოდგენილი იქნეს განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი დეტალური ფოტოფიქსაცია სხვადასხვა ხედებიდან, ზედა ხედიდან (ტერასის და სახურავის ჩვენებით) და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისად დაკორეტქირდეს გრაფიკი;
4. წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი მშენებლობის ორგანიზების პროექტი (ტექსტური ნაწილი, გენგეგმა და ა.შ.);
5. არ არის წარმოდგენილი განახლებული, კორექტირების შესაბამისი კონსტრუქციული პროექტი;
6. წარმოდგენილი იქნეს კონსტრუქციული დასკვნა კორექტირებასთან დაკავშირებით;

7. არ არის წარმოდგენილი ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედიდან; ფოტომონტაჟებზე დატანილი იქნეს მასალა, ზომები ნიშნულები ფერის კოდი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.